V საერთაშორისო კონფერენცია

ტაო-კლარჯეთი

29 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2020

ტაო-კლარჯეთი სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე მყარად დამკვიდრებული პირობითი ტერმინია. მასში საკუთრივ ტაოსა და კლარჯეთის გარდა უფრო დიდი რეგიონი, თურქეთის შემადგენლობაში შემავალი არაერთი სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციაც იგულისხმება (შავშეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჩრდილი, სპერი და სხვ.).

ქართულ წყაროებში ეს მხარე ზემო ქართლად ან მესხეთად, მოსახლენი კი მესხებად იხსენიებიან. უძველეს ეპოქაში ამ რეგიონში არსებულმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებებმა, შუა საუკუნეებში აქ წარმოქმნილმა „ქართველთა სამეფომ“, მძლავრმა საერო თუ საეკლესიო ცენტრებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის ისტორიაში.

დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი ათასწლეულების მანძილზე არაერთი სახელმწიფოს, ხალხისა და კულტურის შეხვედრის ადგილი იყო. იცვლებოდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სურათიც.

ტაო-კლარჯეთი გამორჩეულია ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით, პროვინციათა რაოდენობით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სასულიერო ცენტრების მნიშვნელობით, ეკლესიათა სიმრავლით, სხვადასხვა ეპოქის საფორტიფიკაციო ნაგებობების სიუხვით, მდიდარი სამშენებლო ტრადიციებით, მონუმენტური ფერწერით, არქიტექტურული დეკორით, წარწერებით, აქაური წარმოშობის ხელნაწერებითა და ოქრომჭედლობის ნიმუშებით.

დიდი თუ ლოკალური პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნოკონფესიური პროცესები საუკუნეების განმავლობაში თავის კვალს ამჩნევდა ტაო-კლარჯეთში მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას, რელიგიას, ტოპონიმებს, ენებსა და დიალექტებს.

დღეს ტაო-კლარჯეთის პროვინციები თურქეთის 4 ადმინისტრაციულ ერთეულში (ართვინი, არტაანი, არზრუმი, ყარსი) შედის და ძირითადად 3 მდინარის (ჭოროხი, მტკვარი, არაქსი) აუზში ექცევა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ძალზე შეზღუდული იყო რეგიონის დათვალიერებისა და კვლევის შესაძლებლობა. თუმცა ამჟამად ტაო-კლარჯეთს უამრავი ტურისტი და სამეცნიერო ინტერესების ადამიანი სტუმრობს. დღითიდღე პოპულარული ხდება აქაური ისტორიული ძეგლები, უკვე გვაქვს სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების პირველი იმედისმომცემი პრეცედენტებიც.

ბუნებრივია, რომ არ ნელდება სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ინტერესი ტაო-კლარჯეთის მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მიმართ - მით უფრო, რეგიონის კვლევის გაზდილი შესაძლებლობების პირობებში. ინტერდისციპლინურ საერთაშორისო კონფერენციას – „ტაო-კლარჯეთი“ 2010 წელს ჩაეყარა საფუძველი და უკვე ტრადიციული სახე მიიღო.

კავკასიის უნივერსიტეტი

ორგანიზატორი

კავკასიის უნივერსიტეტი

თანაორგანიზატორები

სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევითი ცენტრი

საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი

ქართველოლოგიური სახლი

მხარდამჭერი

გამომცემლობა „არტანუჯი“

მისამართი:

კავკასიის უნივერსიტეტი
პაატა საკაძის 1
თბილისი, საქართველო
www.cu.edu.ge

taoconference@cu.edu.ge

(+995)599171226

კონფერენციის თემატიკა (რეგიონთან დაკავშირებული)

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ისტორია; ქრისტიანული და ისლამური ძეგლები; საფორტიფიკაციო სისტემა და ნაგებობები; წერილობითი წყაროები; არქეოლოგიური ძეგლები და სამუშაოები; ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები; ჭედური ხელოვნების ნიმუშები; სარესტავრაციო სამუშაოები; კვლევის ისტორია; ყოფა-ცხოვრება და წეს-ჩვეულებები; ფოლკლორი; ენები და დიალექტები; ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო; ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი

სამუშაო ენები

ქართული
ინგლისური
თურქული

თეზისები

წარმოდგენის ბოლო ვადა: 30 მაისი
სიმბოლოთა რაოდენობა: 2.000-4.000
საორგანიზაციო ჯგუფის დასტური მონაწილეობის შესახებ: 30 ივნისამდე

მოხსენება

წარმოდგენის ბოლო ვადა: მონაწილეობის შესახებ დასტურის მიღებიდან 1 თვეში (30 ივლისი)
სიმბოლოთა მაქსიმალური რაოდენობა: 13.000

შენიშვნები

ნაშრომი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული და არ უნდა იყოს წაკითხული სხვა კონფერენციაზე
თეზისებში ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი კვლევის შედეგები

კონფერენციის მსვლელობა

კავკასიის უნივერსიტეტი
29 სექტემბერი – 2 ოქტომბერი, 2020